ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი
№4

ქალაქი ქუთაისი

20 ივნისი 2018 წელი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი იობაშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი.
იუზა უგულავა	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თანამჯდომარის მოადგილე.
დავით ნიშნანიძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.
ზეკა ყურაშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.
რუსუდან ჩინჩალაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის წევრი".
ციხმარდი მაღლაფერიძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.
ირაკლი ადეიშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ აუქციონის გარეშე გამოცხადებულ ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში **№NAT180007514,** (ქალაქ ქუთაისში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების შეტაონის საფართი კეთილმოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა) შ.პ.ს „გი-ან 2011"-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „შედეგების" ველში ატვირთული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების განხილვა.

განხილვა: სატენდერო კომისიის წევრმა დავით ნიშნანიძემ მოახსენა სატენდერო კომისიას, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2018 წლის 14 ივნისის №3 სხდომის ოქმის პასუხად შ.პ.ს „გი-ან 2011"-ის მიერ 2018 წლის 18 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „შედეგების" ველში ატვირთული იქნა სარეგისტრაციო/ უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები, კერძოდ:

1) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია,

2) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

განხილვის შედეგად სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ შ.პ.ს „გი-ან 2011"-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „შედეგების" ველში ატვირთული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შეესაბამება სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ დაავალა სატენდერო კომისიის აპარატს შ.პ.ს „გი-ან 2011"-ის გამარჯვებულად გამოცხადა თაობაზე და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის არანაკლებ 17394,40 (ჩვიდმეტი ათას სამას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარის ოდენობით (ხელშეკრულების ღირებულების 5%) არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წარმოდგენის თაობაზე შეტყობინების გაგზავნის უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ: გიორგი იობაშვილმა.
სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: იუზა უგულავამ.
კომისიის წევრებმა: დავით ნიშნიანიძემ, ბექა ყურაშვილმა და რუსუდან ჩინჩალაძემ.

კომისიამ დაადგინა: 1. შ.პ.ს „გი-ან 2011"-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „შედგების" ველში ატვირთული სარგებლისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შეესაბამება სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სატენდერო კომისიის აპარატს დაეევალოს შ.პ.ს „გი-ან 2011"-ისთვის სისტემის მეშვეობით შეტყობინების გაგზავნა მისი გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 31-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შ.პ.ს „გი-ან 2011" არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა მოწვეული იქნას ხელშეკრულების დასადებად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის, 347888 (სამას ორმოცდაშვიდი ათას რვაას ოთხმოცდაოთხი) ლარის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5%-იანი გარანტია, არანაკლებ 17394,40 (ჩვიდმეტი ათას სამას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარის ოდენობით წარმოდგენის გათვალისწინებით, რომელიც 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების თარიღს (სამუშაოების დასრულების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 120 (ას ოცი) კალენდარული დღე).

3. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 31-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება.

4. იმ შემთხვევაში, თუ შ.პ.ს „გი-ან 2011" ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენას ვერ განახორციელებს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისია შ.პ.ს „გი-ან 2011"-ს მიანიჭებს დისკვალიფიკაციას.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისთვის შეტყობინებად და პრეტენდენტს შეტყობინება გაეგზავნოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის გზით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან.

6. სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ვადების ათვლა იწყება სატენდერო კომისიის სხდომი ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის მომდევნო სამუშო დღიდან.

7. წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ატვირთული იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: გ. იობაშვილი გიორგი იობაშვილი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: იუზა უგულავა

კომისიის წევრები:

დავით ნიშნიანიძე

ბექა ყურაშვილი

რუსუდან ჩინჩალაძე

ირაკლი გიორგაძე

აპარატის წევრები:

ცისმარდი მაღლაფერიძე

ირაკლი ადეიშვილი